

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N66 საცხოვრებელი სახლის
N19 ბინაზე, მოქალაქე იონა მესხაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ნიკეას ქუჩა N66 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაში მცხოვრები მოქალაქე იონა მესხაძის წარმომადგენლის ლაშა მესხაძის განცხადება /2012 წლის 16.07 №-5541/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N66 საცხოვრებელი სახლის N19 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე იონა მესხაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N66 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იონა მესხაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /გ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N66 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაზე /საერთო ფართობი 34,77 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,22 კვ.მ, დამხმარე ფართობი 18,55 კვ.მ./ მოქალაქე იონა მესხაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე